პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 225 (10001)

ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეთა შორის (მე-2 გვერდი).
**პარტიული ცხოვრება.** — მაღაროელი კომუნისტები შრომის ავანგარდში (მე-2 გვერდი).
რთველი წინანდალში (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (მე-2 გვერდი).
**სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.** მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება საქართველოს ყველა მეცხოველეს (მე-3 გვერდი).
ირონას დუქანი (მე-3 გვერდი).
მოვალეობის ფორმალურად შემსრულებელნი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია

### „პრავდის“ 21 სექტემბრის მოწინავე

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლების კრებამ, რომელიც გამოხატავს დიდი ჩინელი ხალხის ნებას, დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში გუშინ ერთხმად მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიღება ჩინელი ხალხის ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენაა. ჩინეთის ხალხის მასებთან ერთად სიხარულის გრძნობას განიცდის საბჭოთა ხალხი, რომელიც ჩინელ ხალხთან დაკავშირებულია ურღვევი ძმური მეგობრობით.

მთელმა ექვსასმილიონიანმა ჩინელმა ხალხმა ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განხილვის შედეგად მხურვალედ მოიწონა კონსტიტუციის პროექტი. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა კრებაში პროექტს მხარი დაუჭირა ოთხმოცდაცხრა დელეგატმა, რომლებიც ჩინეთის ყველა ეროვნებას, მოსახლეობის ყველა ფენას წარმოადგენდნენ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციამ სამართლიანად მიიღო სახალხო კონსტიტუციის სახელწოდება, რადგან მან განახორციელა დიდი ჩინელი ხალხის მრავალი თაობის ოცნება და იმედები, მისი ისტორიული გამოცდილება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი კანონმდებლობით განამტკიცებს თავისუფლებისათვის ჩინელი ხალხის ხანგრძლივი გმირული ბრძოლის შედეგებს, განამტკიცებს ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც ჩინელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, და განსაზღვრავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა „უზრუნველყოფს ექსპლოატაციის სისტემის თანდათანობით მოსპობას და სოციალისტური საზოგადოების აშენებას“.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ძლევამოსილად დაამთავრა ხალხის ბრძოლა ჩინეთის ეროვნული განთავისუფლების საქმისათვის. ჩინეთი სამუდამოდ განთავისუფლდა საუკუნობრივი კოლონიური ჩაგვრისაგან. მოღწეულია სანუკვარი მიზანი, რომლისთვისაც ჩინელმა ხალხმა უთვალავი მსხვერპლი გაიღო: ჩინელებმა დამოუკიდებელი სამშობლო მოიპოვეს.

ჩინეთმა ბოლო მოუღო ფეოდალიზმის ხანგრძლივ ბატონობას. სამუდამოდ დამსხვრეულია ფეოდალური ურთიერთობის ბორკილი, რომელიც დიდ ქვეყანას ამყოფებდა უძრაობის, ჩამორჩენილობის მდგომარეობაში, რაც მას აქცევდა იმპერიალისტური ქვეყნების სანედლეულო დანამატად. მოსპეს რა ძველი, დამპალი წყობილება, ჩინეთის მოწინავე საზოგადოებრივმა ძალებმა, რომლებსაც ჩინეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, გზა გაუხსნეს თავიანთი ქვეყნის პროგრესულ განვითარებას, მისი სწრაფოო ძალების მძლავრ აღმავლობას, მისი მდიდარი ეროვნული კულტურის აყვავებას, ეროვნული განთავისუფლების დიადი საქმის განმტკიცებას.

„ას წლეზე მეტი ხნის გმირული ბრძოლის შედეგად, — ნათქვამია კონსტიტუციაში, — ჩინელმა ხალხმა საბოლოო ანგარიშით 1949 წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი გამარჯვება მოიპოვა სახალხო რევოლუციაში, რომელიც მიმართული იყო იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის წინააღმდეგ, ამით ბოლო მოუღო ჩაგრასა და დამონებას, რომლებიც ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არსებობდა, და შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხალხის დემოკრატიული დიქტატურისა“.

ჩინეთი აღარ არის დაქუცმაცებული ქვეყანა, სადაც ათეულწლეობით არ წყდებოდა მილიტარისტთა სხვადასხვა ჯგუფების შუღლი და სამხედრო კონფლიქტები, რომლებსაც იმპერიალისტი დამპყრობლები აღვივებდნენ. „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, — ნათქვამია კონსტიტუციაში, — ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოა“. იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლით, მეგობრობითა და ურთიერთდახმარებით ჩინეთის ყველა ეროვნება შეკავშირებულია თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ერთიან ოჯახად.

ჩინეთი ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. კონსტიტუცია თავის პირველ მუხლში აცხადებს: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს და რომელიც დამყარებულია მუშათა და გლეხთა კავშირზე“. კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ მთელი ძალაუფლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ეკუთვნის ხალხს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების და სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების სახით.

სახალხო წარმომადგენელთა ყველა საფეხურის კრებების, მასთან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ამას წინათ დამთავრებული საყოველთაო არჩევნები კვლავ მოწმობს, რომ ჩინეთის ხალხი აქტიურ მონაწილეობას იღებს თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მართვაში. არჩევნებმა ცხადყო, რომ სახალხო-დემოკრატიულ ხელისუფლებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მხარს უჭერს მთელი ხალხი.

ჩინეთი სოციალისტურ მშენებლობას შეუდგა. კონსტიტუციის „შესავალში“ ნათქვამია: „გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებია ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის თანდათანობით განხორციელება, თანდათანობთ დამთავრება სოციალისტური გარდაქმნებისა სოფლის მეურნეობაში, შინამრეწველობაში, აგრეთვე კაპიტალისტურ მრეწველობასა და ვაჭრობაში. განვლილი რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ხალხმა წარმატებით განახორციელა თავისი მასშტაბით გრანდიოზული ბრძოლა, რომლის მიზანი იყო აგრარული სისტემის გარდაქმნა, ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობა და კორეელი ხალხისათვის დახმარების გაწევა, კონტრრევოლუციური ელემენტების დათრგუნვა და სახალხო მეურნეობის აღდგენა. ამით მომზადდა საჭირო პირობები ეკონომიური მშენებლობის გეგმიანი წარმოებისა და სოციალისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლისათვის“.

ჩინეთის ყველა დიდი მიღწევა იმის შედეგია, რომ ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ნაცადი ბელადის ამხანაგ მაო ძე-დუნის წინამძღოლობით, უზრუნველყო რა ჩინეთის რევოლუციის სწორი მარქსისტულ-ლენინური ხელმძღვანელობა, გაათავისუფლა ხალხის ფართო მასების წიაღში არსებული ტიტანური ძალები. სწორედ იმის მეოხებით, რომ ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება ათობით და ასობით მილიონი მშრომელი, ჩინეთის რევოლუციამ გაიმარჯვა და დიდი ქვეყანა დაადგა ეროვნული აღორძინების ფართო გზას. ეს ახალი ძალით ადასტურებს იმას, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ, აქარწყლებს ექსპლოატატორული სამყაროს იდეოლოგთა რეაქციულ ბოდვას, თითქოს მშრომელ მასებს არა აქვთ ისტორიული შემოქმედების უნარი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია გამსჭვალულია დიდი ზრუნვით იმისათვის, რომ კვლავაც იზრდებოდნენ ხალხის მასების შემოქმედებითი ძალები. „ყველა სახელმწიფო ორგანო, — ამბობს კონსტიტუციის მეჩვიდმეტე მუხლი, — უნდა ეყრდნობოდეს ხალხის მასებს, მუდმივი მჭიდრო კავშირი ჰქონდეს მათთან, ყურს უგდებდეს მათს აზრს და ექვემდებარებოდეს მათს კონტროლს“. ჩინეთის სახელმწიფო სტრუქტურა, რომლისადმი მთლიანად მიძღვნილია კონსტიტუციის II თავი, უზრუნველყოფს სახალხო წარმომადგენელთა კრებების საშუალებით მშრომელთა უფართოესი მასების მონაწილეობას სახელმწიფოს საქმეებში, განსაზღვრავს მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს სახელმწიფოში, ხაზგასმით აღნიშნავს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის როგორც სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძვლის მნიშვნელობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია განსაზღვრავს სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს როლს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. სახელმწიფო მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ეყრდნობა ეროვნების ბელადებს, ეფუძნება ეროვნებათა ერთიანობას, ებრძვის ეროვნებათა ურთიერთდაპირისპირებას, ებრძვის ეროვნებათა ურთიერთდამონებას, ებრძვის ეროვნებათა ურთიერთდაჩაგვრის ნებისმიერ ფორმას, ებრძვის ეროვნებათა ურთიერთგამორიცხვის ნებისმიერ ფორმას, ებრძვის ეროვნებათა ურთიერთგაუცხოების ნებისმიერ ფორმას, ებრძვის ეროვნებათა ურთიერთგაუცხოებისაკენ ბიძგ

პარტიული ცხოვრება

# მაღაროელი კომუნისტები შრომის ავანგარდში

მეორე საწარმოო უბანი ჩამორჩენილი იყო. დავალებას 80-90 პროცენტით ძლივს ასრულებდა. უბნის კოლექტივი მთლიანად ვერ იყენებდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვს. მოუწესრიგებელი იყო შრომა. სანგრევები არ ჰყოფნიდათ, ტრანსპორტი შეუწყობლად მუშაობდა, იზრდებოდა მარგანეცის თვითღირებულება. კომუნისტმა ა. იობაშვილმა პარტიულ ბიუროში დააყენა მეორე უბნის მუშაობის შესწავლის საკითხი.

კომუნისტ ა. იობაშვილის ინიციატივა უყურადღებოდ არ დარჩენილა. პარტბიურომ კომისია გამოჰყო უბნის ჩამორჩენის მიზეზების შესასწავლად. კომუნისტ ინჟინერთა და მაღაროელთა ჯგუფს დაევალა ღრმა ანალიზი გაეკეთებინა უბნის მუშაობისათვის და შეემუშავებინა ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად. ასეც მოხდა. 3 მაისს პარტიულმა ბიურომ იმსჯელა მეორე უბნის მუშაობის შესახებ. აზრთა საქმიანი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა კონკრეტული დადგენილება, რომლის შესრულებაზე კომუნისტებმა ყოველდღიური კონტროლი დაწესეს.

მალე უბანში ოთხი ახალი სანგრევი მომზადდა, დაემატა ჯალამბრები და მოეწყო ასაქცევები, რითაც დაჩქარდა ვაგონების ბრუნვა, ამავე უბნისათვის მომზადდა ველი მარგანეცის ღია სამუშაოების მოპოვებისათვის. უფრო გონივრულად გამოიყენეს მექანიზმები. ყოველივე ამას უბნის აღმავლობა მოჰყვა. გაიზარდა მარგანეცის გამოღება, შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება. ახლა მეორე უბნის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა და გარკვეული წვლილი შეაქვს მაღაროს კოლექტივის წარმატებაში.

მაღაროს მესამე, მეოთხე და მეექვსე უბნებში ივლისიდან მუშაობა დაიწყეს მადნის ელექტროდამტვირთავმა მანქანებმა. ეს მანქანები ჭიათურაში ახალია. ელექტროდამტვირთავი მანქანა საკმაოდ რთულია და მაღალი წარმადობისაა. მაღაროელმა კომუნისტებმა ა. მერმანიშვილმა და ა. ხარაზიშვილმა თაოსნობა გამოიჩინეს და პირველნი დაეუფლნენ რთულ მექანიზმს. ისინი საუკეთესოდ მართავენ მანქანებს. კომუნისტმა მექანიზატორებმა შრომაში გაიყოლიეს უპარტიო ამხანაგები ა. ბრეგვაძე და კ. დარბაიძე. ახლა ისინი წარმატებით მუშაობენ. კომუნისტთა წინადადებით პარტიულმა ბიურომ დაწვრილებით განიხილა მტვირთავი მანქანების ათვისება-გამოყენების საკითხი, რომელიც მოამზადა მაღაროს მთავარმაინჟინერმა, კომუნისტმა გ. ასათიანმა. კომუნისტების ინიციატივით მაღაროში ჩამოყალიბდა მტვირთავ მანქანებზე მუშაობის შემსწავლელი კურსები, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი მ. ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სანგრევებში ხშირად არ იყო მონგრეული მარგანეცი, რაც მუშებისა და მექანიზმების მოცდენას იწვევდა. ამით მცირდებოდა ნაყოფიერება. იზრდებოდა თვითღირებულება. ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო შპურების ზერელე დაბურღვით, რაც თავის მხრივ გაანპირობებს მადნის მონგრევას. ბურღვის ახალი მეთოდის შემუშავებაზე კარგა ხანს ფიქრობდა ახალგაზრდა მბურღავი კომუნისტი კ. ნადირაძე. ბოლოს მან მიაღწია საკითხის სწორ გადაწყვეტას — შეიმუშავა ღრმა შპურებით ბურღვის საუცხოო მეთოდი. ნოვატორმა მბურღავმა ერთ ციკლზე მიაღწია სანგრევის ორი მეტრით წინსვლას და შრომის ნაყოფიერების ერთიორად გაზრდას. ახალი საქმის მოთავემ თავისი მეთოდი საფუძვლიანად შეასწავლა მბურღავებს ს. ხომასურიძეს, ი. ღუღუნიშვილს, დ. ბერიძეს, ე. ლაბაძეს, ვ. ცხელიშვილს და სხვებს, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ.

ამხ. კ. ნადირაძემ ბურღვის ნოვატორული მეთოდი გადასცა ლენინის სახელობის მაღაროს რამდენიმე მბურღავს. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველის ბრძანებით ამხ. კ. ნადირაძე პირველი სექტემბრიდან დანიშნულია ღრმა შპურებით ბურღვის ინსტრუქტორად. იგი ახლა სტალინის სახელობის მაღაროში მბურღავთა სტახანოვურ სკოლას ხელმძღვანელობს. მუშაობის მისი მეთოდი ყველა მაღაროში ინერგება.

ღია სამუშაოების მეთოდით მარგანეცის მოპოვება ახალი საქმეა. იგი ახალია ჭიათურაშიც, კერძოდ, დიმიტროვის სახელობის მაღაროში. ამავე დროს ეს მეთოდი წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მძლავრ რეზერვს. კომუნისტი ინჟინრების შ. ახვლედიანისა და გ. ასათიანის თაოსნობით დიმიტროვის სახელობის მაღაროს მესამე უბანში დაინერგა ღია სამუშაოებით მარგანეცის მოპოვების რენტაბელური მეთოდი. ამით ფართო გასაქანი მიეცა მექანიზაციას, გაიზარდა უბნის წარმადობა, მინიმუმამდე შემცირდა მადნის დანაკარგი და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ყოველწლიურად იზოგება 500.000 მანეთის მარტო სამგზი მასალა.

მეოთხე და მეხუთე უბნებში ელექტროძრავა იმდენად დაბალი იყო, რომ მცირე მექანიზმებსაც უჭირდათ მუშაობა. კარგი ინიციატივა გამოიჩინა კომუნისტმა ელექტროტექნიკოსმა შ. ნოზაძემ. მან წამოაყენა და განახორციელა წინადადება ტრანსფორმატორის გადაადგილების შესახებ. ამით საგრძნობლად გაიზარდა მექანიზმების წარმადობა, შემცირდა უნაყოფო ხარჯები.

ასეთია ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტების ინიციატივის ზოგიერთი დამახასიათებელი ფაქტი. ასეთი შემოქმედებითი ძიებითაც აიხსნება, რომ მაღაროს კოლექტივი გეგმის ყველა მაჩვენებელს გადაჭარბებით ასრულებს. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. უეჭველია, პარტიული ბიუროს მომავალში მეტად დაუჭერს მხარს ახალ ინიციატივას, საქმით გაალვიებს ახლის გრძნობას, იბრძოლებს ყოველივე მოწინავისა და პროგრესულის დასანერგავად.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## გორის გამგის ძსოვილეგის კომგინატში



**მალე მწყობრში ჩადგება გამომყვანი ფაბრიკა. დამთავრდა გამთეთრებელ საამქროში ხამი ქსოვილის გამთეთრებელი აგრეგატებისა და მანქანების მონტაჟი. ამ დღეებში საამქრო საექსპლოატაციოდ გადაეცემა.**

**დიდი ყურადღება ექცევა ფეიქართა დაუსწრებელ სწავლებას. წელს კომბინატთან შეიქმნა და მეცადინეობას შეუდგა თბილისის საფეიქრო ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების ფილიალის საკონსულტაციო პუნქტი, რომელშიც გაერთიანებულია 57 კაცი.**

**კომბინატთან არსებულმა საფაბრიკო-საკარანნო სკოლამ პირველი ნაკადი გამოუშვა. სკოლადამთავრებულთა შორის 34 მქსოველი და 18 მრთველია. ისინი უკვე შეუდგნენ დამოუკიდებლად მუშაობას.**

**მიმდინარე წლის რვა თვეში ფეიქართა დაბაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.602 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ახალი ბინები მიიღო 63 ფეიქარმა.**

**სურათზე:** კომბინატის გამომყვანი ფაბრიკის ახალი საამქროს ხედი.

# რთველი წინანდალში

წინანდლის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახები ცივგომბორის მთის კალთებიდან მდინარე ალაზნამდეა გადაჭიმული. მათი ფართობი 580 ჰექტარს აღემატება.

რთველი გაჩაღდა. რქაწითელის ოქროსფერ, საფერავისა და კაბერნეს კუპრივით შავ მტევანთა სიხშირემ ყურძნის დიდი მოსავალი გვაუწყა. ეგრეთწოდებული „ნასამხრალის“ ვენახები, რომლებსაც აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი ლ. არსენაშვილი ხელმძღვანელობს, საუკეთესოდ არის მოვლილი. საშუალოდ ჰექტარზე 66 ცენტნერის ნაცვლად 75 ცენტნერ ყურძენს აიღებენ.

„ნასამხრალში“ ყველა რგოლის ვენახი საუკეთესოა, მაგრამ სოციალისტური შრომის გმირის ივანე ბაღათრიშვილის რგოლის ვენახებისათანა მაინც არავისია. ამ რგოლმა შარშან ჰექტარზე 97 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, წელს კი ასზე მეტსაც მიიღებს.

ეგრეთწოდებულ „თელიანის“ ვენახებშიც კარგი მოვლის შედეგად შარშანდელზე მეტ მოსავალს იღებენ. რგოლს, რომელსაც 82 წლის ალექსანდრე ვეფხიშვილი ხელმძღვანელობს, ყველაზე მეტი სიბეჯითე გამოუჩენია. ვეფხიშვილი მეურნეობაში 60 რთველს დასწრებია, მაგრამ სამოცდამეერთე ყველაზე უხვი იქნება. მისი რგოლის ვენახების თვითეულ ჰექტარზე 110 ცენტნერ ყურძენს მოკრეფენ.

აქ ყოველდღიურად 150-155 ტონა ყურძენს ჩაბარებენ ღვინის ქარხანას. 9 ოქტომბერი რთველის ულკანასკნელი დღეა. ასე არის გათვალისწინებული გეგმით, რომელიც მეურნეობამ შეიმუშავა.

ყურძნის საჭრელი დანები არ აკლიათ. კალათები მომზადებულია. მომარაგებული აქვთ 1.350 ცალი ჭურჭელი. უტრანსპორტობით ხელი არ შეეშლებათ. საკუთარი 8 ავტომანქანა სამუშაო მდგომარეობაშია.

— წინა წლებში, — განაცხადა მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ბოლქვაძემ, — რთველი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ეს ყურძნის დიდ დანაკარგს იწვევდა. თანაც ხარისხი ეცემოდა. წელს ყველაფერი ისეა მომზადებული, რომ ყურძნის კრეფას 20 დღეში დავამთავრებთ.

რთველის დაჩქარება ყურძნის სწრაფ გადამუშავებასაც დამოკიდებული. ეს საქმე კი წინანდლის ქარხნის (დირექტორი ლ. კობიაშვილი, მთავარი მეღვინე ა. შამუგია) მოვალეობაა. ქარხანამ 4.875 ტონა ყურძენი უნდა გადაამუშაოს. ეს არის გეგმა. ფაქტიურად კი 5.700 ტონაზე მეტის გადამუშავება მოუხდებათ.

ღვინის ქარხნის სარდაფებიდან წელს დიდძალი დაძველებული ღვინო გაიგზავნა თბილისში, მაგრამ რამდენიმე ათეული ათასი დეკალიტრი კიდევ დარჩა. მისი წაღება თუ არ დაჩქარდა, სახალი ღვინისათვის ადგილი არ იქნება. გარდა ამისა, ჭურჭელიც ხომ საჭიროა? ეს საკითხი სწრაფად უნდა მოგვარდეს.

**ს. ქოჩლაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის ჯილდოები გადაეცათ ამიერკავკასიის რკინიგზის წამყვან პროფესიათა უფროსს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის მუშაკებს საქართველოს სს რესპუბლიკაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. თ. ნ. ქვლივიძემ.

**უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი** გადაეცათ კონტეინერული ტვირთზიდვის საგზაო კანტორის უფროსის მოადგილეს გ. მ. ჯბალოვს, თბილისის განყოფილების უსაშიშროობის რეჟიზორის თანამშრომელ ა. ა. ახვლედიანს, თბილისის სატვირთო სადგურის მატარებელთა შემდგენელს ნ. გ. ბოგველს, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორს ნ. ა. გვინეტაძეს, თბილისის სამგზავრო სადგურის მატარებელთა შემდგენელს გ. ნ. დათაშვილს, რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს ნ. ი. დეკანოსიძეს, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეს ა. თ. ჯღამაძეს, თბილისის სამგზავრო სადგურის სავაგონო დეპოს ოსტატს მ. ი. ივანოვს, თბილისის განყოფილების უფროსს ს. გ. კონიაშვილს, სადგურ გორდანის უფროსს ს. ტ. კორძაძეს, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორს ი. გ. კუხალეიშვილს, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორს ი. ზ. ლიტვინოვს, თბილისის მარქაფის მთავარ კონდუქტორს ლ. ს. მიმინოშვილს, სადგურ მარნეულის მორიგეს გ. მ. ნადარეიშვილს, სავაგონო სამსახურის უფროსს ვ. დ. ფანცხავას, ელექტროფიკაციისა და ენერგეტიკის მეურნეობის სამსახურის მთავარ ინჟინერს ი. ა. თოფჩიშვილს, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეს გ. ვ. ხიზანაშვილს, თბილისის საელმავლო დეპოს მორიგეს ვ. ნ. წერეთაშვილს და სხვ.

**ლენინის ორდენი** მიიღო სულ 61 კაცმა.

**შრომის წითელი დროშის ორდენი** მიიღო 84 კაცმა. მათ შორის არიან თბილისის სამგზავრო სადგურის სავაგონო უბნის მატარებლის ვაგონის ოსტატი რ. მ. არუმანოვი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ე. ს. გამყრელიძე, სავაგონო სამსახურის უფროსი ინჟინერი თ. ი. გობეჯიშვილი, სალაზდაგო სამსახურის განყოფილების უფროსის მოადგილე ს. ა. დავიდენასი, თბილისის სატვირთო სადგურის ტექნიკური გასინჯვის პუნქტის უფროსი დ. კ. ჯვარშეიშვილი, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე ვ. მ. ზარნაძე, სადგურ კავთისხევის მეისრე გ. ი. ირემამვილი, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე ა. ვ. კოკანაძე, თბილისის საელმავლო დეპოს მთავარი ინჟინერი ვ. ი. მაღლაშვილი, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე ი. ი. მსხილაძე, თბილისის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი ი. ი. ოსტროვსკი, თბილისის ელექტრომომარაგების უბნის ტექნიკური ბიუროს ინჟინერი ვ. ი. პაპავა, ელექტროფიკაციის სამსახურის ექსპლოატაციისა და რემონტის განყოფილების ტექნიკოსი ა. გ. პოლიაკოვი, თბილისის ქალაქის საქონლის სადგურის ვეტერინარული ექიმი ბ. ნ. ...ის სატვირთო სადგურის სავაგონო უბნის მატარებლის ვაგონის ოსტატი ე. ნ. ურიგაშვილი, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე ზ. ს. ხაჩიძე, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე დ. ბ. ჭარბაძე და სხვები.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 70, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 96 რკინიგზელმა.

ამაგე დღეს ორდენები და მედლები გადაეცა ამიერკავკასიის რკინიგზის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და საქართველოს სსრ მშენებლობის საექიმო-სანიტარული განყოფილების ექიმთა და მედიცინის სხვა მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწრეკლო მუშაობისათვის.

**ლენინის ორდენი** მიიღეს სადგურ თბილისის სბავშვო საავადმყოფოს ექიმმა ნ. ტ. ავსარქისოვმა, სადგურ თბილისის სბავშვო საავადმყოფოს სამედიცინო დამ მ. თ. ბერძენიშვილმა, სადგურ სადახლოს საექიმო პუნქტის გამგემ ი. ს. ბოკერიამ, სადგურ თბილისის საავადმყოფოს ექიმმა ფ. ს. კალანდაძემ, მშენებლობის სამკურნალო-სანიტარული განყოფილების უფროსმა ეპიდემიოლოგმა პ. მ. მეტრეველმა, სადგურ თბილისის საავადმყოფოს ექიმმა ა. ე. უზლანერმა და სხვებმა, სულ 11 კაცმა.

**შრომის წითელი დროშის ორდენი** გადაეცათ სადგურ თბილისის საავადმყოფოს ექიმს ქ. ვ. ღლონტს, სადგურ ნავთლუღის საექიმო უბნის ექიმს თ. ვ. დადიანიძეს, სამკურნალო-სანიტარული სამსახურის სექტორის უფროსს ა. ი. ელისტრატოვას, სადგურ თბილისის საავადმყოფოს ექიმს ფ. ჯ. ქანთარიას და სხვებს. შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო სულ 9 კაცმა.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით** დაჯილდოებულთა შორის არიან სადგურ ნავთლუღის საექიმო უბნის უფროსი ა. ა. კეთილაძე, სადგურ თბილისის საავადმყოფოს ექიმი მ. ვ. ლანჩავა, სადგურ თბილისის სბავშვო საავადმყოფოს სამედიცინო და თ. ი. სტეფანოვა, სადგურ თბილისის საავადმყოფოს ექიმი კ. ვ. ციცხვაია და სხვები, სულ 10 კაცი.

მედალი **„შრომითი მამაცობისათვის“** მიიღო 7 კაცმა, და მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 3 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორმა ი. გ. კუხალეიშვილმა, თბილისის სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილემ გ. ი. კუტელაშვილმა, თბილისის განყოფილების დისპეტჩერმა კ. ნ. მეკვიამ. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ნ. ქვლივიძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ შემოგომი წარმატებანი მუშაობაში. (საქ. დესი).

# გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეთა შორის

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა შეიმუშავეს. იგი ითვალისწინებს მეცხოველეობის სულადობის შემდგომ გადიდებას, მის ჯიმობრივ გაუმჯობესებას და პროდუქტიულობის განუხრელად ამაღლებას. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში მეცხოველეობამ შეძლოს დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ხორცით, რძით, ერბო-კარაქით, მეცხოველეობის სხვა პროდუქტებით, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულით.

ამ გადაუდებელი ამოცანების განსახორციელებლად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია სერიოზული მუშაობა. აგებენ მეცხოველეობის კულტურულ ბინებს, იმარაგებენ საკვებს, ახორციელებენ ფერმებში ზრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, აუმჯობესებენ პირუტყვის მოვლა-პატრონობას, სწავლობენ და ფართოდ იყენებენ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას.

საზოგადოებრივი მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული დარგია. ამიტომ ამ დარგის განვითარებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, მისდამი შეუნელებელი ყურადღება პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი განვითარების ყველა შესაძლებლობა აქვთ. ამ შესაძლებლობათა წარმატებით გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ პარტიული ორგანიზაციები მუშაობას ადამიანებთან, ფერმების მუშაკებთან, მწყემსებთან, როგორ დააყენებენ მათ შორის მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას უშუალოდ იქ, სადაც ისინი იმყოფებიან და საქონელს უვლიან.

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს შორის სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ამ საქმეში და დასახა სათანადო ღონისძიებანი მისი გამოსწორებისათვის. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააძლიერეს მუშაობა მწყემსთა შორის და გარკვეული წარმატებებიც მოიპოვეს. ამ მხრივ საყურადღებოა დუშეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება. ამ რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა მლეთის კოლმეურნეობა, რომელსაც ცხვრის დიდი ფარა ჰყავს. საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია მეცხვარეებთან ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. აგიტატორები ვ. ნაზღაიძე, ვ. ბურდული, გ. ბუთხუზი ხშირად მართავენ ფერმის მუშაკებთან საუბრებს და გაზეთის ხმამაღლა კითხვას. საზაფხულო საძოვრებზე ახალხევში დადგმულია ორი რადიომიმღები. მწყემსებთან ახლა უკეთესად მუშაობენ სასოფლო კლუბები. მაგალითად, მაღაროსკარის სასოფლო კლუბმა (გამგე ნ. ქისტაური) ივლისში მხატვრული გასვლა მოაწყო მთის საძოვრებზე ჩარგალის კოლმეურნეობის მწყემსებთან. აქვე ლექტორმა ლ. არაბულმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება მეცხოველეობის განვითარების საფუძველია“. მეცხოველეობის ფერმაში მოწყობილია აგიტპუნქტი, სადაც სისტემატურად იმართება საუბრები, ლექცია-მოხსენებები და ხორციელდება სხვა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი.

პარტიის კაჭრეთის რაიკომმა საზაფხულო საძოვრებზე 2 აგიტმხატვრული ბრიგადა მიავლინა. ისინი მწყემსებთან 12 დღეს დარჩნენ და 15 კოლმეურნეობის მეცხვარეებს მოემსახურნენ. ბრიგადამ 34 ლექცია წაიკითხა და 45-ზე მეტი საუბარი მოაწყო. თრიალეთის საზაფხულო საძოვრებზე ავტომანქანით გაიგზავნა მოძრავი კინოდანადგარი, რომლითაც იქ კინოსურათები უჩვენეს. კინოსურათები 400-მდე მწყემსმა ნახა.

ბოგდანოვკის რაიონში ზოგიერთმა კოლმეურნეობამ მომთაბარე მწყემსებისათვის კულტფონდის სახსრებით ბიბლიოთეკა შეიძინა. ამჟამად რაიონში იმისათვის ზრუნავენ, რომ ასეთი ბიბლიოთეკა ყველა კოლმეურნეობას ჰქონდეს. რაიონის მეცხოველეებს ეწვია მწერალთა ბრიგადა კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით. მწერლებმა საზაფხულო საძოვრების ექვს პუნქტში გამართეს ლიტერატურული საღამოები, რომლებსაც დაესწრნენ აგრეთვე საგარეჯოს, წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებისა და ელდარის საბჭოთა მეურნეობის მწყემსები.

სერიოზული მუშაობა გაჩაღდა მწყემსებთან ქლუხორის რაიონში. აქ მეცხოველეობის ფერმებში დადგმულია მუდმივ ელექტროდენზე მომუშავე რადიომიმღებები, რომლებითაც მწყემსები სისტემატურად ისმენენ რადიოგადაცემებს.

წითელწყაროს რაიონს საზაფხულო საძოვრებზე მივლინებულ იქნა აგიტმხატვრული ბრიგადა. ბრიგადამ მოაწყო ლექცია-მოხსენებები, რომლებსაც 345 კაცი დაესწრო. ნაჩვენები იქნა კინოფილმები „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, „საგუშაგო მთებში“ და სხვ. ბრიგადის შემადგენლობაში იყვნენ ექიმებიც, რომლებმაც მწყემსებს სამედიცინო მომსახურება გაუწიეს.

მიმდინარე წლის ივლისის მეორე ნახევარში აპარის ასსრ კულტურის სამინისტრომ და კომკავშირის აპარის საოლქო კომიტეტმა საზაფხულო საძოვრებზე კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის ერთი კვირის ვადით გაგზავნეს აგიტმხატვრული ბრიგადები. ბრიგადებმა მწყემსებისათვის გამართეს საღამო-კონცერტები, ლექციები, მოხსენებები და საუბრები.

პარტიის თელავის რაიკომის ბიუროს დადგენილებით საზაფხულო საძოვრებზე მივლინებულ იქნა პოლიტიკურ მუშაკთა ორი ჯგუფი. ერთი ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით გაიგზავნა კავკასიონის მთებში მყოფ მწყემსებთან. ბრიგადა იქ 10 დღეს დარჩა და რაიონის 10 კოლმეურნეობის 100-ზე მეტ მწყემსს გაუწია მომსახურება, მოაწყო 7 ლექცია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, 9 ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის და ივნისის პლენუმების დადგენილებებზე, 13 საუბარი ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის საკითხებზე. ბრიგადაში იყო ექიმი, რომელმაც წაიკითხა ლექციების ციკლი სანიტარულ-ჰიგიენურ თემებზე და ჩაატარა პროფილაქტიკური ღონისძიებანი. მეორე ჯგუფი რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. კარდანახიშვილის ხელმძღვანელობით გაიგზავნა საზაფხულო საძოვრებზე „ცივის“ მთებში. ბრიგადამ მომსახურება გაუწია რაიონის 10 კოლმეურნეობისა და 1 საბჭოთა მეურნეობის ფერმების მუშაკებს.

ხობის რაიონის მეცხოველეობის ფერმებში მოწყობილია აგიტპუნქტები, რომლებიც კარგად არის გაფორმებული. აგიტატორებად გამოყოფილი არიან მომზადებული და საქმის მცოდნე მუშაკები. ისინი ფერმებში სისტემატურად აწყობენ საუბრებს, მეცხოველეებს აცნობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებს. აგიტპუნქტებში ყოველ კვირაში გამოდის „საბრძოლო ფურცლები“. ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიის რაიკომმა მოიწვია საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მეცხოველეობის ფერმების აგიტატორების სემინარი, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და პარტორგანიზაციების ამოცანები“. სემინარის მონაწილეებს განემარტათ, თუ როგორ აწარმოონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა ფერმის მუშაკებთან, როგორ მოაწყონ ბრძოლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დამატებით შეარჩიეს და საზაფხულო საძოვრებზე აგიტატორებად გაგზავნეს კარგად მომზადებული ამხანაგები. მეცხოველეობის ფერმების მუშაკები სისტემატურად იღებენ ახალ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. რაიონის კულტურის სახლმა საზაფხულო საძოვრებზე გაგზავნა აგიტმხატვრული ბრიგადა, მოძრავი ბიბლიოთეკა. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ ქ. კუდუხაშვილის ხელმძღვანელობით გამართა კონცერტები, მოაწყო საუბრები, გაზეთების ხმამაღლა კითხვა. ლექტორმა თ. მაისურაძემ წაიკითხა ლექციები. ენისლის ქედანოვის სახელობისა და შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობებმა მწყემსების კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიძინეს და საზაფხულო საძოვრებზე გაგზავნეს პატეფონები საკმაო ფირფიტებით.

მწყემსებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა პირუტყვის მოვლა-პატრონობის საგრძნობლად გაუმჯობესება. მწყემსებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ნამატის მთლიანად შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, პირუტყვის სულადობის ზრდის, თვითეული სულიდან რძისა და მატყლის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მიუხედავად ამისა, მწყემსებს შორის სააგიტაციო-მასობრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლი აქვს. მთავარი ნაკლი ის არის, რომ ზოგან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მწყემსებს შორის ეპიზოდურ, კამპანიურ ხასიათს ატარებს, იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების საგანი.

ახლო მომავალში პირუტყვი საზაფხულო საძოვრებიდან გადარეკილი იქნება საზამთრო საძოვრებზე. პირუტყვის ახალ ადგილზე დაბანაკებისთანავე პარტიულმა ორგანიზაციებმა იქ უნდა გადაიტანონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება, მოაწყონ აგიტპუნქტები, გახსნან საველე ბიბლიოთეკები, დადგან რადიომიმღებები. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი გამოცდილება მთლიანად უნდა გამოვიყენოთ პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრების უზრუნველსაყოფად. პარტიის რაიკომები ვალდებულნი არიან საძოვრებზე მუდამ იყოლიონ რაიკომის ერთ-ერთი მდივანი ყოველდღიური, კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად, საძოვრებზე სისტემატურად მიავლინონ აგიტმხატვრული ბრიგადები, ლექტორები და მომზსენებლები, მოაწყონ ლიტერატურული საღამოები, კინოსურათების ჩვენება. ფერმებში სისტემატურად უნდა გამოდიოდეს „საბრძოლო ფურცლები“, ეწყობოდეს საუბრები და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. მთელი ეს მუშაობა მიმართულ უნდა იქნას იქითკენ, რომ წარმატებით შესრულდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მეცხოველეობის განვითარების დარგში. მან უნდა უზრუნველყოს მწყემსების შრომითი აქტივობის ამაღლება, ფერმების მუშაობაში ნაკლოვანებათა გამოვლინება და გამოსწორება, ყოველივე ახლის, პროგრესულის ფართოდ გავრცელება.

საძოვრებზე, უშუალოდ იქ, სადაც პირუტყვია დაბანაკებული, უნდა ვეწეოდეთ აქტიურ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, რადგან სწორედ იქ წყდება პირუტყვის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანა. სწორედ იქ, საძოვრებზე უნდა გავგზავნოთ საუკეთესო აგიტატორები პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული აქტივიდან, სოფლის ინტელიგენციიდან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთაგან. პოლიტიკურ მუშაობაში უნდა ვამოვიყენოთ პრესა, რადიო, კინო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა, რათა უზრუნველვყოთ რესპუბლიკის მეცხოველეთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელება.

*სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე*

# მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება საქართველოს ყველა მეცხოველეს

### 1. შტეიმანის მეთოდით.

ეს მოხდა ოცდაერთი წლის წინათ. რუსეთის თვალუწვდენ ველებზე მკაცრი ზამთარი იდგა და, ბუნებრივია, საბჭოთა მეურნეობა „კარავაევო"-ში განსაკუთრებული მზრუნველობით ათბუნებდნენ პროტეინის სადგომებს. გარეთ ქარიშხალი მძვინვარებდა. სუსხიანი ქარი დათარეშობდა ტყეებში და მინდვრებზე, მეურნეობის საძროხეებში კი ძილისმომგვრელი სითბო და სიწყნარე იდგა. ერთ ღამეს, როცა მომვლელებს ჩასთვლიმათ, ძროხა „ვედმამ" ბაგიდან თავი აიშვა, შენობიდან გავიდა და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

„ვედმას" მეურნეობაში იცნობდნენ როგორც თავნებასა და შლეგიანს, ბევრჯერ მას რძით სავსე ვედროსათვის მოულოდნელად ისეთი წიხლი გაურტყამს, რომ ვედრო საძებნელი გამხდარა, ამიტომ შეარქვეს ძროხას არაოფიციალურად „ვედმა", რაც რუსულ ენაზე „უდიაბოლს" ნიშნავს.

ასე იყო თუ ისე „ვედმას" საძროხედან გაპარვას კი არავინ ელოდა, მით უმეტეს ისეთ ამინდში, როცა, როგორც იტყვიან, კარგი პატრონი ძაღლსაც კი არ გააგდებს გარეთ.

მთელი მეურნეობა ფეხზე დადგა. გარიჟრაჟზე ოთხი ცხენოსანი აფრინეს ძროხის მოსაძებნად, ორი დღე გავიდა, მაგრამ „ვედმა" ვერ იპოვნეს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, გაუგებარი დარჩა.

ყველაზე მეტად ძროხის დაკარგვას მისი მომვლელი ტაისია სმირნოვა განიცდიდა. ხუმრობა ხომ არ იყო: იმ დღეებში „ვედმას" მშობიარობის დრომ მოეწია და მერე როგორ უნდა მოეგო ხმა — ქარხეულში, თხუთმეტგრადუსიან ყინვაში, ადამიანთა დაუხმარებლად...

ერთი კვირის შემდეგ როცა ტაისიამ ძროხა უკვე დაღუპულად ჩათვალა, მეურნეობაში მოხუცი ტყის მცველი მოვიდა:

— თქვენი ხომ არ არის ძროხა, რომელიც ტყეში ვიპოვნე? — იკითხა მან.

— ჰრელია, რქები წინ აქვს წამოხრილი?

— სწორედ ის არის!

ტაისიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს სიხარული აღტაცებად იქცა, „ვედმა" თავის მომვლელს ახლადმოგებული ხბოთი რომ დახვდა. ძროხას ტყეში თავის ბულული ეპოვნა, სიცივის მიუხედავად არხეინად ჰამდა, ოქვე მოეგო ხბო, რომელიც დედის გარშემო სასაცილოდ დაკუნტრუშებდა. ეტყობოდა დედა-შვილი ცის ქვეშ თავს კარგად გრძნობდნენ და შინ დაბრუნებას სრულიადაც არ ფიქრობდნენ.

მეურნეობის უფროსი ზოოტექნიკოსი სტანისლავ ივანეს-ძე შტეიმანი და მომვლელი ტაისია სმირნოვა განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ „ვედმას" ხბოს. გადიოდა დრო. ყინვაში დაბადებული ხბო, სხვებთან შედარებით ყველაზე ჯანსაღი გამოვიდა, მშვენიერი მადა ჰქონდა და სწრაფად მატულობდა წონაში, მთავარი კი ის იყო, რომ ავადმყოფობა არ ეკარებოდა.

მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი საბჭოთა მეურნეობა „კარავაევომ". ამ მეურნეობაში გამოიყვანეს კოსტრომის საუკეთესო ჯიშის ძროხები. 1953 წელს თვითეულ ჰექტარ მდელოსა და სავარგულზე მიღებულ იქნა 926 ცენტნერი რძე. მეურნეობას 283 ძროხა ყავს. საშუალოდ ერთ ძროხაზე შარშან მოწველილია 6.121 კილოგრამი რძე.

ამ წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვის სტალინური პრემიის ლაურეატს, მეურნეობის უფროს ზოოტექნიკოსს სტანისლავ ივანეს-ძე შტეიმანს, რომლის ხელმძღვანელობითაც გამოყვანილია ძროხის ახალი ჯიში და დამუშავებულია ხბოების გაზრდის ახალი მეთოდი.

მეურნეობაში გამოიზარდნენ მეცხოველეობის საქმის შესანიშნავი ოსტატები, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 39 მუშაკს, ხოლო ორგზის სოციალისტური შრომის გმირისა — 9 კაცს.

ოცდაერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც „ვედმა" ფერმიდან გაიპარა. ამ ხნის მანძილზე ადამიანებს ჰაღარა შეეპარათ. ვერცხლის ძაფები ჩაექსოვა ტაისია სმირნოვას ხორცლისფერ თმას, მაგრამ ჯერ დაღლა არ ეტყობა, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ხომ ის ძროხები ამშვენებენ, რომლებსაც ასეთი მზრუნველობით უვლის იგი ორი ათეული წლის მანძილზე.

გამოფენის მონაწილეა ტაისიას ქალიშვილი ნინო სმირნოვა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ხბოების ახალი მეთოდით გაზრდის ნიჭიერი ოსტატი.

როცა ექსკურსანტები იდეალურად სუფთა და მთლიანად მექანიზებულ ფერმებში კოსტრომული ჯიშის ლამაზ ძროხებს უცქერიან, მათ აინტერესებთ, რა წესით, რა მეთოდით გაიზარდნენ ისინი, რა პასუხი გასცეს „კარავაევოს" მუშაკებმა ოცდაერთი წლის წინათ აღძრულ კითხვებზე. ამის შესახებ გვესაუბრება თეთრხალათიანი ახალგაზრდა ნინო სმირნოვა:

— ხბოების ცივი აღზრდის მეთოდს, — ამბობს იგი, — დიდი უპირატესობა აქვს. ეს მეთოდი ჩვენთან შემოღებულ იქნა ცხრამეტი წლის წინათ და ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. ცივი აღზრდის მეთოდი იმას გულისხმობს, რომ სახბორეებს ზამთრის ყინვიან ამინდშიც კი არ ვათბობთ და იქ ზოგჯერ წყალიც იყინება. ცივ ჰაერში მიკრობები ძალიან მცირე რაოდენობით არიან, რაც აფერხებს ავადმყოფობათა გავრცელებას, ამავე დროს დაბალი ტემპერატურის დროს არ ხდება ისეთი მომშხამავი ნივთიერების აორთქლება, როგორიც არის ამიაკი. ცივი აღზრდა ხბოებს შესანიშნავ ფიზიკურ წრთობას აძლევს. ჩვენთან იშვიათია ხბოს დაავადება ფილტვების და სახსრების ანთებით, ფაღარათით.

— ალბათ ხბოების სიკვდილიანობა მაინც არის.

— არავითარ შემთხვევაში, — გვიპასუხებს ნინო, — ცხრამეტი წლის მანძილზე, ამ მეთოდით ორი ათასზე მეტი ხბო გავზარდეთ და სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს. პირიქით, ცივ პირობებში ხბო სწრაფად მატულობს წონაში. ჩვენთან ხბო სამი თვის ასაკში ჩვეულებრივად 120-130 კილოგრამს იწონის...

— ვინ შეიმუშავა ეს მეთოდი?

— ამ საქმის სული და გულია სტანისლავ ივანეს-ძე, მაგრამ მასთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვით მეურნეობის რიგით მუშაკებს — მეხბორეებს, მწველავებს. — „ვედმას" გაქცევის ამბავი ხომ გახსოვთ. სწორედ იმ დროიდან დაიწყო სტანისლავ ივანეს-ძემ ამ საკითხზე მუშაობა. ხბოების ცივი გაზრდა პირველად რომ დავნერგეთ, ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინი ცოცხალი იყო და, როცა ეს გაიგო, თქვა: — ამ მეთოდს დიდი მომავალი აქვს, ბოლოს და ბოლოს მეცხოველეობაში გამოჩნდა კაცი, რომელიც ამ საქმეს ახალ გზაზე შემოაბრუნებს...

### 2. მწვანე კონვეიერი

მოსკოვში მზიანი დღეებია...

შუადღე გადავა თუ არა, მეცხოველეობის პავილიონის მახლობლად მდებარე მოედანზე მრავალი ძროხა, ბუღა და ცხენი გამოჰყავთ ჰაერზე. მანეჟზე (ასე ეძახიან მოედანს) ასეთ დროს ყოველთვის უამრავი ხალხია. ყველას აინტერესებს კოსტრომული, ხოლმოგორუული, ტამბოვის, ლებედინსკის და სხვ. ჯიშის ლამაზი, მაღალპროდუქტიული პირუტყვის ნახვა...

აი მომვლელს დინჯად მიჰყვება თეთრი ფერის, მაღალტანიანი ძროხა „კომსა". მას უზარმაზარი ცური აქვს, თითქმის ერთი მეტრია მისი დიამეტრი, ფუთნახევარზე მეტს იწონის ასეთი ძროხის ცური, 15.184 კილოგრამ რძეს იძლევა „კომსა" წელიწადში.

— ძროხა კი არა, მთელი ფერმა ყოფილა ეგ დალოცვილი — ამბობენ ექსკურსანტები.

საუკუნეთა განმავლობაში იბრძვის ადამიანი პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ არასოდეს ამ საქმეს ისეთი გაქანება და პერსპექტივა არ ჰქონია, როგორიც საბჭოთა ქვეყანაში აქვს.

მარტო ომისშემდგომ პერიოდში ჩვენს სამშობლოში დამთავრდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 8 ახალი ჯიშის გამოყვანა (კოსტრომის, ტამბოვური წითელი, ლებედინური, ყაზახური თეთრთავა. ალატაუური, ყურგანული და სხვ). გამოყვანილია ცხვრის 13 ახალი ჯიში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მეურნეობის ყველაზე რთული დარგის — მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას და ამ საქმეს საყოველთაო-სახალხო ამოცანად თვლიან. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ხალხის კეთილდღეობისათვის ყოველდღიური ზრუნვა კომუნისტური პარტიის უმაღლესი კანონია.

პირუტყვის ჯიშთა გაუმჯობესება კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ ეს საქმე, ისევე როგორც საერთოდ მეცხოველეობის საქმე, წარმოუდგენელია საკვები ბაზის შეუქმნელად. ცნობილი რუსი ზოოტექნიკოსი, პროფესორი ა. სოვეტოვი ამბობდა, ყოველნაირად ცდილობდე პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებას და ამავე დროს პირუტყვს არ აძლევდე საკვებსა და შესაფერ მოვლას, ეს ნიშნავს ერთი ხელით გაძარცვო ის, რაც მეორემ შექმნა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაავალეს მეცხოველეობაში ფართოდ გამოიყენონ პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური შენახვა. რა დასამალავია, ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა მეცხოველემ კარგად არ იცის, რას ნიშნავს „მწვანე კონვეიერი", რაც ბაგურ-ბანაკური შენახვის აუცილებელი ნაწილია.

აი როგორ აქვს მოწყობილი მწვანე კონვეიერი გამოფენის მონაწილეს, მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობას „ლენინე პოლიანი".

მაისის პირველ რიცხვებში, როცა ბუნებრივი მწვანე ბალახი ჯერ კიდევ არ არის, აქ უკვე იწყებენ საშემოდგომო ჭვავის ჯეჯილის თიბვას, რასაც პირუტყვს აჭმევენ, შემდეგ კონვეიერში შედის საშემოდგომო ხორბლის ჯეჯილი. აღსანიშნავია, რომ თვითეულ ჰექტარ ნათესზე მეურნეობაში 1.200-1.500 ფუთ მწვანე მასას იღებენ, რომელიც მდიდარია ცილოვანი ნივთიერებებით და ვიტამინებით, გადის დრო... ივლისის პირველ ნახევარში ჭვავს კვლავ თიბავენ, შემდეგ ამ ფართობს გაადახნავენ და სხვა კულტურას თესენ. კომბოსტოს თესავენ სხვადასხვა დროს, რათა მოსავალი მიღებულ იქნას თანმიმდევრობით.

მწვანე კონვეიერის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, კომბოსტო, გოგრა, ჭარხალი, ტურნეესი. ამასთან პირუტყვს დღეში 4-6 საათს აძოვებენ.

მწვანე კონვეიერი მეურნეობას ისე აქვს მოწყობილი, რომ 6 თვის მანძილზე თვითეული ძროხა ყოველდღიურად იღებს ოთხმოც კილოგრამამდე მწვანე მასას. პირუტყვი უზრუნველყოფილია სხვა საკვებითაც, წელიწადში თვითეულ ძროხას ხმარდება 115 ცენტნერი წვნიანი საკვები, 20 ცენტნერი თივა და 18 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები.

ბაგურ-ბანაკური შენახვა დიდად ადიდებს პირუტყვის პროდუქტიულობას. კალუგის ოლქის ძერჟინსკის რაიონის კოლმეურნეობაში „პუტ ლენინა" შარშან თვითეულ ძროხაზე მიიღეს 2.146 კილოგრამი რძე — 1.300 კილოგრამით მეტი ვიდრე შარშანწინ, აი რა შედეგი მოჰყვა ბაგურ-ბანაკური შენახვის მეთოდს.

გამოფენის მონაწილის მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია სიმინდის კულტურას საკვები ბაზის შექმნის საქმეში. მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის ამ რაიონში სიმინდს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და მაღალ მოსავალსაც იღებენ. როგორც წესი, სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად თესავენ.

### 3. ვიწროლანდაგიანი რკინიგზა ფერმაში

„ძალიან ძნელია წარმოიდგინო თანამედროვე ფერმა ისე, რომ იქ ავტოსარწყულებლები, საწველი აპარატურა, საკვებდამაორთქლებლები, საკვების მექანიზებული სამზარეულო და მექანიზებული ტრანსპორტი არ იყოს... მას არ შეუძლია დაეყრდნოს ხელის მცირე წარმადობის შრომას", — წერს კოლმეურნეობა „მე-12 ოქტომბრის" თავმჯდომარე პოლინა მალინინა.

ასეც არის. პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის ამაღლება ისეთი გრანდიოზული მასშტაბით, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, შეუძლებელია ე. წ. კომუნალური მეურნეობის — პირუტყვის ბინების კეთილმოწყობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის განუხორციელებლად.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის იმ ტერიტორიას, სადაც მეცხოველეობის ქალაქია გაშენებული, ყოველდღიურად დიდძალი ხალხი აწყდება, ზოგი ექსკურსანტი მარტო ჩანაწერებს არ სჯერდება. ადამიანებს სურთ რაც შეიძლება მეტი ცოდნა და გამოცდილება შეიძინონ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გივი წითლიძემ თავისთვის ფერმის ნახაზებიც კი გადაიღო.

ვინც გამოფენაზე მექანიზებულ ფერმას ნახავს, მას არასოდეს დაავიწყდება აქ მიღებული სიამოვნება. პირუტყვის ნათელი სადგომები, საწველავი დარბაზები, სახმოვრეები, ვიწროლანდაგიანი რკინიგზა, რომლის ვაგონებითაც შემოაქვთ შემზადებული საკვები. აქ ბევრი რამ არის ახალი, რაც სხვა მოწინავე მექანიზებულ ფერმებს არა აქვთ. მაგალითად, აქ არის პირუტყვის პნევმატიკური საწმენდი, თვითეული ძროხის სადგომთან გაყვანილია როგორც ცივი, ისე თბილი წყალი. აქვეა ნაკელის მექანიკური ამწმენდი, ყველაფერი ეს ახლო მომავალში ჩვენი ქვეყნის ყველა ფერმისათვის ხელმისაწვდომი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხების ელექტრომექანიკურ წველას. კოსტრომელ მეცხოველეებს ის დამატებით აძლევს 200-300 გრამ რძეს თვითეული ძროხის ერთხელ ჩამოწველაზე. ელექტრომექანიკური წველა ადამიანს მძიმე ფიზიკური შრომისაგან ათავისუფლებს.

ახლა ავიღოთ ავტოსარწყულებელი, იგი 10-15 პროცენტით ზრდის ძროხის პროდუქტიულობას. კოსტრომელმა მეცხოველეებმა დაკვირვებით დაამტკიცეს, რომ 2-3 ნაცვლად, ძროხა დღეში წყალს 30-40-ჯერ სვამს. ავტოსარწყულებელი რომ არა, ეს ძალიან გაჭირდებოდა.

გაანგარიშებულია, რომ 100 სული პირუტყვის ფერმაში ყოველდღიურად საჭიროა 7-10 ტონა სხვადასხვა საკვები. ამის გადაზიდვას უნდა სულ ცოტა 4 კაცი და 2 ცხენი, 100 სული პირუტყვის დასარწყულებლად საჭიროა 10-11 ათასი ლიტრი წყალი. ფერმაში ყოველდღე გროვდება 5-6 ტონა ნაკელი, წარმოიდგინეთ რამდენი მუშაობაა საჭირო ამ საქმის გასაკეთებლად.

### 4. მეცნიერებათა უდიკლომო დოქტორი

ამერიკა სენსაციების ქვეყანაა.

1947 წელს ოკეანესგაღმელმა ზოოტექნიკოსმა პეტერსმა თანამემამულეებს მორიგი სენსაცია ამცნო: — მეორე ჰარვეიმ თვითეულ დედაღორზე წელიწადში საშუალოდ 9,5 გოჭი გაზარდაო... ამერიკელებს საამაყო ხევრი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ საგაზეთო ხმაური მაინც ატყდა, ჰარვეის პორტრეტებით აივსო ჟურნალ-გაზეთები, ჰარვეი მსოფლიო რეკორდსმენად გამოაცხადეს, მაშინ როცა იმავე 1947 წელს რუსმა კოლმეურნემ ალექსანდრა ევგენის ასულმა ლიუსკოვამ 16 დედაღორიდან თვითეულზე 30,2 გოჭი გაზარდა. ეს კი მართლაც მსოფლიო რეკორდი იყო.

ვოლოგდის ოლქის კოლმეურნეობა „ბუდიონოვეცის" მეღორეობის ფერმის გამგე ლიუსკოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ისეთი მონაწილეა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი შრომით ახალი სიტყვა თქვა მეცხიერებაში, იგი გაბედული ნოვატორია. მან შეიმუშავა ღორების სრულფასოვანი კვების ახალი მეთოდი, არა მარტო გამოიყენა მეცნიერება, არამედ საკუთარი შესწორებები შეიტანა მასში.

მუშაობის რა მეთოდი აქვს ლიუსკოვას? დავიწყოთ თავიდან — იმ მომენტიდან, როცა დედაღორი 10-15 და ზოგჯერ მეტ გოჭს დაყრის. ალექსანდრა ევგენის ასული გვიამბობს:

— ალბათ იცით გოჭების მოუსვენარი ხასიათი, დახადების პირველ დღეებში ისინი ძალზე უდისციპლინონი არიან — ერთმანეთს ახტებიან, ჭყივიან, დედის ძუძუსთან ძლიერი აღწევს, სუსტი კი მშიერი რჩება. თქმა არ უნდა, ეს დიდი უსამართლობაა, რაც ჩვენს ფერმაში აღარ არსებობს. დაიბადება თუ არა გოჭები, თვითეულს განსაზღვრულ ძუძუს მივუჩენთ, გოჭები რომ არ აგვერიოს სპეციალურ ნიშანს ვუკეთებთ.

ლიუსკოვამ შენიშნა, რომ ღორებს ერთ მხარეზე უყვართ წოლა, იმ მხარის ძუძუებში კი რძე ყოველთვის ნაკლებია ე. ი. გოჭები, რომლებიც ამ ძუძუებით იკვებებიან საკმარის რძეს ვერ იღებენ და თანდათანობით სუსტდებიან. საჭირო იყო ამ უსამართლობის გამოსწორებაც. ლიუსკოვამ და მისმა მეგობრებმა ღორები იმას მიაჩვიეს, რომ ისინი რიგრიგობით სხვადასხვა მხარეს წვებიან.

ერთმა ექსკურსანტმა იხუმრა:

— ალექსანდრა ევგენის ასული ცხოველთა მწვრთნელიც ყოფილა, ბუგრიმოვას მსგავსი...

დედის რძე გოჭებისათვის საკმარისი არ არის, ამიტომ დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ, ლიუსკოვა მათ დამატებით 50 გრამ ძროხის რძეს აძლევს, ათი-თხუთმეტი დღის შემდეგ კი გოჭებს აჩვევს სხვადასხვა ფაფას, მინერალებს, ვიტამინებს, სამყურის თივას.

23 წლის განმავლობაში ლიუსკოვამ 11.512 გოჭი გაზარდა. 10 წლის მანძილზე მის ფერმაში თვითეულ დედაღორზე წელიწადში საშუალოდ 28 გოჭს ზრდიან. ლიუსკოვას მიერ გაზრდილი ღორისაგან, რომელსაც სახელად იუნკა ჰქვია, ერთ წელიწადში 5.330 კილოგრამი ნამატი მიიღეს. ეს ჭეშმარიტად მსოფლიო რეკორდია (თუმცა ამ რეკორდს უკვე გადაჭარბა ყუბანელმა მეღორემ ე. მიქულინამ, რომელმაც 1 ღორზე საშუალოდ 5.843 კილოგრამი ნამატი მიიღო).

ასე გაამდიდრა მეცნიერება უბრალო რუსმა ქალმა ლიუსკოვამ. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა ის თავიანთ კოლეგად აღიარეს. — ჩვენ, აკადემიკოსები, — წერს პროფესორი ს. პეროვი, — ვთვლით მას (ლიუსკოვას) ჩვენს სამეცნიერო ოჯახში მიღებულად, როგორც მეცნიერებათა დოქტორს, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ დიპლომი არა აქვს...

**ა. თუმაძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

**გურჯაანის რაიონი.** სურათებზე: (მარცხნივ) სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი შაქრო ხატიაშვილი პირუტყვის საკვები გოგრის ნაკვეთში. (მარჯვნივ) სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალექსი ღარიბაშვილი პირუტყვის საკვებ საზამთროებთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# იონას დუქანი

გვიანობამდე გაისმოდა რესტორან „განთიადის" ფილიალში მოქეიფეთა ღრიანცელი...

მეორე სართულზე სარკმელთან მჯდომ იონა ბაბუნაშვილს გული ბოღმით ევსებოდა:

— გულმა როგორ არ უნდა მოიწყინოს, როცა ხედავ, რომ შენს საკუთარ სახლში სხვა იგებს ფულს. მაინც რამდენი ხალხი ეტანება ამ პატარა სამწვადეს, თუმცა იქ უნიათო ხალხი მუშაობს. იქ თუ არ „მოვიკალათე", კაცი არა ვყოფილვარ! — მტკიცედ გადაწყვიტა იონამ და იმ დღიდან შეუდგა ოცნების განხორციელებისათვის ზრუნვას.

განვლო დრომ. იონას „ბედმა" არ გაუღიმა. იგი უკმაყოფილოდ დახედავდა 364 მანეთს, რასაც ყოველი თვის ხოლოს იღებდა ქირის სახით რესტორანის დირექციისაგან. როდი აკმაყოფილებდა ეს გროშები. „300-400 მანეთი ერთ მაგიდაზე შემიჭამია", — ამპარტავნად ჩაილაპარაკებდა იონა და იმედს არ კარგავდა, რომ ეს სარფიანი საქმე ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაუვარდებოდა.

1953 წლის 24 ნოემბერს რესტორან „განთიადის" აღნიშნული ფილიალი გაუქმდა საშტატო ერთეულის შემცირებასთან დაკავშირებით. იონა მაშინვე დატრიალდა, ხან ერთ ორგანიზაციას მიაშურა, ხან მეორეს, მაგრამ არსად არ დართეს საკუთარ სახლში სასაუზმის გახსნის ნება. მაშინ იონა თვითონ შეუდგა თავის ნანატრ საქმეს. „მომმარაგებლად" აიყვანა თავიის მეგობარი, გაქნილი კომბინატორი, პასუხისგებაში ნამყოფი იოსებ ხითარიშვილი, მზარეულობა ოჯახის წევრებს მიანდო და... გაჩაღდა ვაჭრობა.

— ქორფა კიტრი, პამიდორი, სულგუნი, წიწილები, ბატკანი — რაც გესიამოვნებათ, ყველაფერს გაგიჩენთ, — ეთილისმებოდა იონა კლიენტებს და „მასპინძლობას" არ აკლებდა.

სახელი გაითქვა იონას დუქანმა. იქ ყოველთვის დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. როცა უკანასკნელი მუშტარი გაეიდოდა დუქნიდან, [illegible] დათვლას შეუდგებოდნენ.

— ბანკში შეტანა [illegible] ლიმილით ეტყ[illegible] და ორივე გადაიხარხარებდა.

სამ თვეს იპარპაშეს თაღლითებმა, მაგრამ ერთ დღეს მოულოდნელად თავს დაატყდათ უბედურება:

მიმდინარე წლის 2 ივლისს იონამ ის-იყო გაალო დუქანი და ვაჭრობას იწყებდა, რომ მოულოდნელად დაესხნენ თავს.

— 60 ფუთი ღვინო საიდან გაქვთ მიღებული?

— ოჯახის საჭიროებისათვის დავწურე, პატივცემულო ამხანაგებო, — უტიფრად განაცხადა იონამ, რომელიც ქურდობაზე წასწრებულ კატასავით მოიკუნტა.

— ლობიოც ოჯახის საჭიროებისათვის დაამზადეთ, არა (?!).

— დიახ. მრავალსულიანი ოჯახი მყავს, — კვლავ იცრუა გაქნილმა ვაჭრუკანამ (თუმცა ცოლისა და ერთი შვილის გარდა არავინა ჰყავს).

— 122 ცალ კვერცხზე რას იტყვით?

— კვერცხი, კვერცხი, — ენა დაება იონას და ხმა გაკმინდა.

იტყვიან, დამწვარს მდუღარე დაასხესო, — სწორედ ასე მოუვიდა იონას. რევიზორებთან საუბრისას თავი შემოჰყო იოსებმა, რომელმაც ტომრით შემოიტანა კიტრი.

გაებნენ ვიგინდარები, შედგა სათანადო აქტი, მაგრამ ისინი ამ ფაქტს აინუნშიც არ იგდებენ, კვლავ თავისუფლად დასეირნობენ. მილიციის პირველ განყოფილებაში, რომელსაც მეორე დღესვე გადაეცა საქმე, რატომღაც აჭიანურებენ გამოძიებას.

საინტერესოა, ნაძირალებს ხომ არ აღმოაჩნდათ გულმემატკივარნი ქუთაისის ადგილობრივ ორგანოებში, რომელთა ზოგიერთი მუშაკის წაყრუების ან დოყლაპიობის მეოხებით თვეების მანძილზე კერძო ვაჭრობას ეწეოდა იონა და მისი კომპანია.

**გ. მეფისაშვილი.**

# მოვალეობის ფორმალურად შემსრულებელნი

სიღნაღის ქალაქის კოოპერატივის საზაფხულო სასადილო „ფანტაზია", როგორც იტყვიან, შორიდან მტერს მოუკლავს გულს, ახლოს კი მოყვარეს. სასადილოს ალაყაფის კარში შესვლისთანავე ჭამის მადას დაგიკარგავთ შემოჩვეული ძაღლების ხროვა, ეზოში დაყრილი ნაგავი და აშმორეზული აუზი, რომელიც სავსეა არა თევზებით, არამედ პაპიროსის ნამწვებით, ძონძებითა და ქაღალდებით. უკეთესი მდგომარეობა არც სასადილო დარბაზშია, ყველგან ნაგავია, მაგიდებს ჭუჭყიანი სუფრები აქვს გადაფარებული. ყოველივე ამას ემატება უგემური კერძები. ამიტომ შემთხვევითი როდია ის უკმაყოფილება, რასაც მომხმარებლები ამ სასადილოს მუშაობის გამო გამოთქვამენ.

ქალაქის კოოპერატივის საჩაიეც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. მომხმარებლები აქ ნამცხვრებში ხშირად პოულობენ პატარ-პატარა ქვებს ან სხვა ჭუჭყს, რაც გამოწვეულია იმით, რომ სიღნაღის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საკონდიტრო საცხობის მუშაკები მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. საცხობში გამეფებულია ანტისანიტარია, ტექნიკურად მოუწესრიგებელი ღუმელიდან მაზუთის წვეთები და ჭვარტლი პირდაპირ ცომში ცვივა.

საცხობის გამგე კ. ხმალაძე ყოველივე ამას გულგრილად შესცქერის. ნაკლებ დახმარებას უწევს საცხობს ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი გ. შუშტაკაშვილიც.

უსუფთაობაა პურის საცხობშიც. ხშირია შემთხვევები, როცა მომხმარებელი გამომცხვარ პურში ფიცრის ნატეხებს, გუდრონის ნამცეცებსა და სხვა სიბინძურეს ნახულობს.

საკითხავია, რას აკეთებენ სანეპიდსადგურის მუშაკები? ისინი კინკლაობითა და ინტრიგებით არიან გართული, თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის კი ძალიან ცოტას ფიქრობენ. სადგურის ხელმძღვანელი ვ. ბეტრიშვილი, რომელსაც დროებით ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის მოვალეობაც შეუთავსეს, თავს ვერ არათმევს სამუშაოს, სრულ უუნარობას იჩენს. ამიტომ საკვირველი როდია, რომ სადგურის მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. მის მუშაკებს სავალდებულოდ არ მიიჩნიათ სადგურის უფროსის ბრძანებათა შესრულება; უჯრებში თვეობით ინახება შეტყობინებანი ინფექციურ დაავადებათა შესახებ, ჭიანურდება დაავადებულთა გადაყვანა საავადმყოფოში.

ამას წინათ ქალაქის კოოპერატივის რწმუნებულთა კრება გაიმართა. აქ ილაპარაკეს მაღაზიებსა და სასადილოებში შექმნილი ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ზეიტრიშვილს აქედანაც არავითარი დასკვნა არ გაუკეთებია.

სიღნაღში მტკიცე სანიტარული წესრიგი უნდა დამყარდეს. ამისათვის ზრუნვა მოეთხოვებათ არა მარტო სანეპიდსადგურის მუშაკებს, არამედ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებსაც, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

**გ. ხეჩუაშვილი,**
**ი. გალიაშვილი,**
**ლ. ისაკოვი.**

*„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ*

# „ლ ო თ ე ბ ი"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 14 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი „ლოთები". ქალაქ თბილისის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი იუსტიციის მრჩეველი ვ. ფონია გვაცნობინებს, რომ ფელეტონში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

ვ. დიხსანს ხულიგნობისათვის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა პატიმრობა 4 წლით, ნ. კობზევს 3 წლით, ე. დანილოვს ერთი წლით იძულებითი მუშაობა. ხულიგნებს დ. ბულესკირიას და ნ. კოხრეიძეს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ გამოუტანა ორ-ორი წლით პირობითი სასჯელი. ხულიგნები ი. რაბინოვიჩი, ჯ. ბიდამირჩი, ს. ბიტნოხა და ა. მუედლიშვილი დასატიმრებული არიან. მათ ბრალი ედებათ აგრეთვე ძარცვაში. ფელეტონში დასახელებული ხულიგნები გ. ბერიძე და ა. მამალაძე იმალებიან. მათი საქმის ძიებას მაღლიციის ორგანოები აწარმოებენ.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა მ. კობახიძემ რედაქციას აცნობა, რომ ფელეტონის „ლოთების" ერთერთი „გმირი" ზ. ხაბაზაშვილი ინსტიტუტიდან გარიცხულია აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

# „თბილისის ზღვის" სანეპიროზე

ამ დღეებში „თბილისის ზღვას" დედაქალაქის ათასობით მშრომელი ესტუმრა. მათ გულს ატკბობდა ლურჯი ტალღების დუსრულებელი ხმაური. ზღვის დასავლეთით მაღლობზე ქარი მოუსვენრად არხევდა ნორჩ წიწვიან ნარგავებს...

შესანიშნავად თქვა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის მოწინავე სტახანოველმა პ. ბედენაშვილმა:

— მალე დედაქალაქის ლამაზ ზღვას მწვანე სამოსელში გავხვევთ!

მართლაც, დილადრიანვე ორგანიზებულად, ავტომანქანებით მოვიდნენ და სიმღერით შეეფინენ ფერდობებს ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სტუდენტები, მოსწავლეები. აქ იყვნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი, ავტოსარემონტო ქარხნების, მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

სართულმავალი დეპოს კოლექტივის წარმომადგენლებმა მწვანე ნარგავებისათვის ორმოების ამოღების ნაკისრი ვალდებულება მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შეასრულეს.

„თბილისის ზღვის" მწვანე სამოსლით შემკობისათვის ნაყოფიერი, სამაგალითო შრომა გასწიეს სტალინის რაიონის მშრომელებმა.

შემოქმედებითი შრომის მაგალითს იძლეოდნენ ორჯონიკიძის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები. ნაკისრ ვალდებულებათა

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება

### სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე

პეკინი, 20 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩინელი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი დღეა. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველმა სესიამ დღევანდელ სხდომაზე ერთსულოვნად მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია — ჩინელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველი ნამდვილი სახალხო და დემოკრატიული კონსტიტუცია.

ნაშუადღევის 3 საათზე დეპუტატები იერიბეგიან სხდომის დარბაზში. მქუხარე ტაშით შეხვდნენ დარბაზში ამხანაგ მაო ძე-დუნის შემოსვლას. თავმჯდომარე დეპუტატი ჯოუ ენ-ლაი სხდომას გახსნილად აცხადებს.

იგი ამბობს, რომ კამათში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტისა და „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ დეპუტატ ლიუ შაო-ცის მოხსენების გამო გამოვიდა 89 დეპუტატი, 89-ვე დეპუტატმა ერთსულოვნად მოიწონა ლიუ შაო-ცის მოხსენება და შემოიტანა წინადადება მიღებულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

შემდეგ ჯოუ ენ-ლაის წინადადებით დეპუტატებს შეაქვთ გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შესახებ. კოთხულობენ კონსტიტუციის პროექტის ტექსტს, რის შემდეგ კონსტიტუციის პროექტს კენჭი უყარეს.

დეპუტატები ზეიმით მიდიან კენჭისსაყრელ ურნებთან და უშვებენ შიგ ჩინურ, მონღოლურ, უიღურულ და ტიბეტურ ენებზე შედგენილ ბიულეტენებს.

ბმების დათვლის შემდეგ თავმჯდომარე ჯოუ ენ-ლაი აცხადებს კენჭისყრის შედეგებს. კრება დიდი ენთუზიაზმით ხვდება ჯოუ ენ-ლაის ცნობას, რომ 1.197 დეპუტატიდან, რომლებიც დღევანდელ სხდომას ესწრებიან, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.197 დეპუტატმა. 1.197-ვე დეპუტატმა ერთსულოვნად მისცა ხმა კონსტიტუციის მიღებას. ყველა დეპუტატი ერთსულოვნად დგება ფეხზე და დარბაზში დიდხანს არ ცხრება მძლავრი ოვაცია, გაისმის მისასალმებელი შეძახილები ჩინეთის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, მაო ძე-დუნის პატივსაცემად. 600-მილიონიანი ხალხის წარმოგზავნილები მიესალმებიან თავიანთი სახელმწიფოს ძირითადი კანონის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის დაბადებას, რომელიც განამტკიცებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დიდი ჩინელი ხალხის მრავალი წლის ბრძოლის ნაყოფს.

საზეიმოდ გაისმის თავმჯდომარის ჯოუ ენ-ლაის სიტყვები, რომელიც სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის პრეზიდიუმის სახელით აცხადებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის პირველი მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველმა სესიამ 1954 წლის 20 სექტემბერს მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

დღევანდელი სხდომის დასასრულს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატებმა მიიღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ორგანიზაციული სტატუტი.

## დღესასწაული პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების გამო

პეკინი, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კი დღეს რადიომ გადასცა სასიხარულო ამბავი, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველმა სესიამ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია — ბედნიერებისა და პროგრესის კონსტიტუცია, რომელიც იურიდიული ფორმით განამტკიცებს ჩინელი ხალხის დიდ გამარჯვებებს და უზრუნველყოფს ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობას, — პეკინის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ალმებით ქუჩებში. სტიქიურად წარმოიშვა მასობრივი დემონსტრაცია. მისი მონაწილენი წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მხარდასაჭერად, გამარჯვებას უსურვებდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას. გვიან საღამომდე გაგრძელდა დედაქალაქის ქუჩებში ხალხმრავალი მსვლელობა, პეკინის მოსახლეობის სიმღერები და ცეკვა.

## დღეში ჩავიდა ჩინეთის სავაჭრო დელეგაცია

დელი, 20 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი ათავსებს პრეს ტრანსტოფ ინდიას საგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ გუშინ დელს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ კუნ იუანმა აეროდრომზე გაანცადა, რომ ამას წინათ, როგორც შედეგი ორივე მხარის სურვილისა — გაიფართოონ ვაჭრობა, დაიწყო მოლაპარაკება ინდოეთსა და ჩინეთს შორის სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ. „ჩვენ ჩამოსელის მთავარი მიზანია, — დასძინა მან, — დავდო შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით“.

კუნ იუანმა აღნიშნა, რომ სავაჭრო შეთანხმების დადება თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებით არა მარტო დაეხმარება ორივე მხარის ეკონომიურ აყვავებას და მათ შორის მეგობრულ ურთიერთობას, არამედ ხელს შეუწყობს აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებასაც.

## ირანის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ნავთობის შესახებ

თეირანი, 19 სექტემბერი. (საკდესი). იუწყებიან, რომ დღეს ნაშუადღევის 2 საათზე თეირანში ირანის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ნავთობის შესახებ ეგრეთწოდებულ საერთაშორისო კონსორციუმთან. ეს შეთანხმება მეჯლისს უნდა გადაეცეს დასამტკიცებლად.

# ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

პრაღა, 20 სექტემბერი. (საკდესი). დღეს „რუდე პრავოში“ გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელიც 18 სექტემბერს გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრაღაში.

ნოტაში ნათქვამია:

1954 წლის 17 სექტემბერს 10 საათსა და 30 წუთზე ამერიკის შეერთებული შტატების სამი სამხედრო მოსამსახურე გადმოვიდა ჩეხოსლოვაკიის მკაფიოდ აღნიშნულ საზღვარზე აუსენდორისა გუტის რაიონში და, იმყოფებოდნენ რა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, იღებდნენ ფოტოსურათებს და აწარმოებდნენ დაკვირვებას ბინოკლების საშუალებით, იხატავდნენ და იწერდნენ თავიანთ დაკვირვებებს. საზღვრის დამრღვევნი შეამჩნია ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო პატრულმა და წინადადება მისცა მათ შეჩერებულიყვნენ. ჩეხოსლოვაკიის საზღვრის ერთ-ერთი დამრღვევი გიიქცა და გერმანიის ტერიტორიაზე მიიმალა. ორი დანარჩენი დაიკავეს. მათი ვინაობა გამოირკვეულია. ერთ-ერთი დამრღვევი აღმოჩნდა ამერიკის არმიის უფროსი ლეიტენანტი რიჩარდ დრაისი, მეორე — ეფრეიტორი ჯორჯ პისკი. ორივენი არიან № 317 სამხედრო დაზვერვის სამსახურის თანამშრომელნი აიდენში (დასავლეთი გერმანია). დაკავებულთ ჩამოერთვათ: ორი ბინოკლი, ორი გატენილი პისტოლეტი, ფოტოგრაფიული აპარატი აფსკით, სამხედრო რუკა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ, რომ ამერიკის სამხედრო დაზვერვის სამსახურის ორივე თანამშრომელი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გამოგზავნილი იყო ჯაშუშური ხასიათის ამოცანის შესასრულებლად.

ამას მოწმობს აგრეთვე ჩანაწერები და სახელმწიფო თვალთვალის თვალსაზრისით დიდნაშენ ვნელოვანი ობიექტების ჩანახატები, შეტანილი ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო რაიონების დაწვრილებითს სამხედრო რუკაზე, რომელიც აღმოაჩნდა უფროს ლეიტენანტს რიჩარდ დრაისს, და ჩანაწერი მის უბის წიგნაკში.

1954 წლის 18 სექტემბერს 10 საათზე ამავე ადგილას კვლავ დაარღვიეს ჩეხოსლოვაკიის საზღვარი. ეს დარღვევა დაკავშირებული იყო უხეშ პროვოკაციასთან. ამერიკის არმიის მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი რაზმი მოვიდა იმ ადგილს, სადაც ერთი დღით ადრე მოხდა ჩეხოსლოვაკიის საზღვრის დარღვევა, და, თან ჰქონდა რა ფძიმე ტყვიამფრქვევი, დიაკავა საბრძოლო პოზიცია უშუალოდ ჩეხოსლოვაკიის საზღვრის ახლოს.

ამერიკის არმიის რამდენიმე ჯარისკაცი აწარმოებდა დაკვირვებას და იღებდა ფოტოსურათებს, ამასთან გამომწვევად გადმოდიოდა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. ცხადია, რომ ეს უხეში პროვოკაცია, ჩეხოსლოვაკიის სუვერენიტეტის დარღვევისა და სასაზღვრო რაიონების ტერიტორიის დაზვერვის გარდა, მიზნად ისახავდა სროლისა და სისხლისმღვრელი საზღვრო ინციდენტის გამოწვევას.

ზემოაღნიშნული შემთხვევა ერთეული რამდა. დასავლეთ გერმანიაში ამერიკის არმიის საოკუპაციო ნაწილები ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, განზრახ ახორციელებენ გეგმაზომიერ ჯაშუშურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ; ამასთან ისინი უხეშად არღვევენ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვრებს და აწყობენ სხვადასხვა სასაზღვრო პროვოკაციას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, მოგაგონებთ რა წინათ გამოგზავნილ პროტესტებს, აცხადებს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფალნი არავითარ შემთხვევაში არ მოითმენენ და არ დაუშვებენ ჩეხოსლოვაკიის საზღვრის დარღვევის შემთხვევებს და რომ მას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ დაავალა უაღრესად მკაცრი პროტესტი განაცხადოს როგორც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ხელშეუხებლობის ახალი ორჯერადი დარღვევის წინააღმდეგ, ისე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, მის სასაზღვრო ოლქებში ამერიკის არმიის მოსამსახურეთა გამომწვევი ჯაშუშური საქმიანობის წინააღმდეგ.

## მარსელ კაშენის დაბადების 85 წლისთავი

პბრიზი, 20 სექტემბერი. (საკდესი). დღეს შესრულდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ვეტერანის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის, გაზეთ „ლუმანიტეს“ დირექტორ მარსელ კაშენის დაბადების 85 წლისთავი.

1912 წლიდან კაშენი აქტიურ მონაწილეობას ღებულ ჟორესის მიერ დაარსებული გაზეთ „ლუმანიტეს“ — საფრანგეთის სოციალისტების, ხოლო შემდეგ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მებრძოლი ორგანოს რედაქტირებაში. 1918 წლიდან კაშენი მისი უცვლელი დირექტორია.

ფრანგი სოციალისტების ყრილობაზე ქალაქ ტურში 1920 წლის დეკემბერში მარსელ კაშენი მტკიცედ გამოვიდა კომუნისტური პარტიის შექმნისა და კომინტერნთან მისი შეერთების სასარგებლოდ. 42 წლის მანძილზე პპრიზის მშრომელები კაშენს ირჩევენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატად.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიება მხურვალედ მიესალმება იუბილარს. მშრომელები და პროგრესული ორგანიზაციები ათასობით წერილთა და დეპეშით უცხადებენ კაშენს მხურვალე სიყვარულსა და მადლობას მუშათა კლასის საქმისათვის, საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის თავდადებული ბრძოლის გამო.

ამ დღეებში პარიზის მე-18 ოლქში გაიმართა კაშენის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი კრება. იუბილარს გულთბილად მიესალმნენ და მიიღოცეს მშრომელთა, კომუნისტური პარტიის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, საზოგადოება „კომუნის მეგობრების“ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე პროგრესულმა ფრანგმა მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა. კაშენმა თავის სიტყვაში გამოთქვა ურყევი რწმენა მუშათა კლასის საქმის სამოელო მომავლისადმი, კომუნიზმის გამარჯვებისადმი.

დღეს გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გაზეთ „პრავდის“ რედაქციის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის, მთელი რიგი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მისასალმებელი წერილები მარსელ კაშენისადმი.

## მიტინგი და დემონსტრაცია ლონდონში საერთაშორისო პროგრესელების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის

ლონდონი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ლონდონის საოლქო კომიტეტმა ჰაიდ-პარკში მოაწყო მიტინგი და დემონსტრაცია დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სოლი კეიმ, რომელიც ნომავალ არჩევნებში პარლამენტის დეპუტატობაზე კენჭს იყრის სტეპნის საარჩევნო ოლქში (ლონდონი). მან თქვა: „ჩვენ არ უნდა დავუშვათ გერმანიის შეიარაღება. ამ საქმეში მხარს გვიჭერს მილიონობით თანამემამულე“.

მიტინგმა მიიღო საპროტესტო რეზოლუცია, რომელიც დელეგაციამ კომპარტიის ლონდონის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის და ლონდონის პროფკავშირთა ერთ-ერთი თავმჯდომარის ხელმოწერით ინგლისელ ელჩს გადასცა ამერიკის ელჩოს.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პასუხისმგებლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ გეგმიდანელთა პროვოკაციებისათვის ეკისრება შეერთებული შტატების მთავრობას. „ინგლისისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ გაეყვანილ იქნას მე-7 ფლოტი ჩინეთის წყლებიდან და ამერიკის მთელი შეიარაღებული ძალები — ფორმოზიდან“.

## დასავლეთ გერმანიის პრესა ბონში დალესის მოლაპარაკების შესახებ

ბერლინი, 19 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთები, დიდ ყურადღებას უთმობენ რა დალესის მოლაპარაკებას ადენაუერთან, აღნიშნავენ, რომ ამ მოლაპარაკების მიზანია, კერძოდ, საფრანგეთზე ზეგავლენის მოხდენა. გაზეთები იძულებული არიან აღიარონ, რომ დალესის ეს ვარაუდი განწირულია ჩასაფუშავად, მაგალითად გაზეთი „ალგემაინე ციტუნგი“ წერს: „არა გვგონია შეიძლებოდეს იმის დაშვება, რომ ფრანგები სრულიად უშენიშვნოდ დათანხმებიან დალესის მოგზაურობის მიზანს... პირიქით, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ შესაძლო იყოს საფრანგეთის დათანხმება გარედან აშკარა ზეგავლენის გზითაც კი. ფრანგებმა ეს საკმაოდ კარგად დაამტკიცეს, როცა, ანგარიში გაუწიეს რა მხოლოდ საკუთარ აზრს და დაეყრდნენ თავიანთ ეროვნულ შეგნებას, 30 აგვისტოს უარყვეს ხელშეკრულება ევროპის არმიის შესახებ“.

ეხებოდა რა დასავლეთ გერმანიის შეყვანის გზით ეგრეთწოდებული ბრიუსელის ხელშეკრულების გაფართოების გეგმებს, გაზეთი „ჰანოვერშე პრესე“ გუშინ წერდა: „უნდა ვიფიქროთ, რომ განზრახული აქვთ ბრიუსელის აქტით შეცვალონ ევროპის თავდაცვითი გაერთიანება. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ ამერიკის პოლიტიკის კურსი, რომელმაც კარგი განიცადა და რომლის წინაპირობაა გერმანიის გათიშვის შენარჩუნება. ყველა ელვისებურ მოგზაურობათა და ახალი ხელშეკრულების შესახებ ჭორიდადებათა შედეგად ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის დიდად სამწუხარო ფაქტი, რომ გერმანიის გაერთიანებაზე საერთოდ მეტს აღარაფერს ამბობენ“.

გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ თავის მოწინავე სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ადენაუერთან დალესის მოლაპარაკებისადმი, აცხადებს: „თვალში გხვდება, რომ ამ უკანასკნელი კვირების მანძილზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ დასავლეთთან სამხედრო კავშირებზე, რაც ევროპის მთავარი ბოროტებაა და უდიდეს საფრთხეს უქმნის მას“.

გმობს რა ზეგავლენის მეთოდებს, რასაც დალესი მიმართავს საფრანგეთისადმი, გაზეთი „ფულდაერ ფოლკსციტუნგი“ წერს: „თუ ამერიკელები ფიქრობენ, რომ მოკავშირეთა დამორჩილების ამ ახალ მეთოდს განსაკუთრებული წარმატება ექნება, ეს მათი საქმეა. მაგრამ სხვა საქმეა ის ფაქტი, რომ ბონის მთავრობა გარეულია ამ თამაშში. საკითხავია, ვინ ზღავს ოდესმე ამას? ჩვენ ვშიშობთ, რომ გერმანელი ხალხი იძულებული იქნება ზღოს“.

## მოითხოვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ლონდონი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ლეიბორისტული პარტიის ბირმინჰამის ორგანიზაციის წევრთა მიტინგზე ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ „ჩინეთის მალე მიეცემა შესაძლებლობა თავისი როლი შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში“. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს განმტკიცდეს თანამშრომლობა ინგლისელ ხალხსა და ჩინელ ხალხს შორის.

# საბჭოთა პავილიონის წარმატება ვენის საშემოდგომო ბაზრობაზე

ვენა, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა ვენის საშემოდგომო ბაზრობა, რომელიც 12 სექტემბერს გაიხსნა.

როგორც წარსულ წლებში, საბჭოთა კავშირის პავილიონი, რომელშიც ფართოდ იყო წარმოდგენილი საავტომობილო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური, საფეიქრო და კვების მრეწველობის ნაწარმი, დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრში იყო. სულ საბჭოთა პავილიონი 400 ათასზე მეტმა კაცმა ინახულა. პავილიონი დათვალიერეს ავსტრიის პრეზიდენტმა კერნერმა, ავსტრიის მთავრობის მთელმა რიგმა წევრებმა და პარლამენტის დეპუტატებმა, ავსტრიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა კავშირის წარმატებებით გამოწვეულ აღტაცებას მოწმობს ათასობით ჩანაწერი, რომლებითაც სავსეა შთაბეჭდილებათა წიგნები. საბჭოთა პავილიონის წარმატება მით უფრო დამახასიათებელია, რომ რეაქციული გაზეთები თავიდანვე ცდილობდნენ დუმილით აევლოთ გვერდი ვენის ბაზრობაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობისათვის.

დემოკრატიული გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ ბაზრობაზე წარმოდგენილი საბჭოთა საქონლის ხარისხსა და ასორტიმენტს. გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახალხო მოხმარების საქონლის მრეწველობის წარმატებას.

## გაიხსნა უნგრეთის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 20 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია. სესიამ მოისმინა და დამტკიცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების პრეზიდიუმის მდივნის ი. დარაბოშის ანგარიში სახელმწიფო კრების წინა სესიის შემდეგ პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იმრე ნადმა წინადადება შეიტანა, რომ სესიამ განიხილოს კანონპროექტები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებისა და საბჭოების მუშაობის შესახებ.

სესიამ ერთხმად დამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა;

2) განხილვა კანონპროექტებისა საბჭოებს შესახებ.

## ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის შესახებ არ უნდა იქნეს რატიფიცირებული

პეკინი, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, პაკისტანის გაზეთი „იმროზი“ მოითხოვს, რომ პაკისტანის მთავრობამ უარი თქვას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე და თავი შეიკავოს ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტულ გეგმებში მონაწილეობისაგან.

გაზეთი წერს, რომ ხელშეკრულება უცხოეთის სახელმწიფოებს ნებას აძლევს ჩაერიონ აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში. ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად საშინაო პოლიტიკური რეფორმები ყოველ ქვეყანაში შეიძლება გაგებულ იქნას როგორც „საფრთხე“ ამ უცხო სახელმწიფოებისათვის.

ამ ხელშეკრულების საშუალებით, წერს გაზეთი, იმპერიალისტური ქვეყნები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი კოლონიური ბატონობა აზიის მიმართ და ჩაახშონ მზარდი მოძრაობა აზიის ხალხებისა, რომლებიც პოლიტიკურად იღვიძებენ.

„პაკისტანის თვითუფლმა პატრიოტმა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — ძალიან კარგად იცის რომ იმ პირებმა, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს საგარეო პოლიტიკას, ახალი შეცდომა დაუშვეს. აზიის ქვეყნები დღეს ნეიტრალური უნდა დარჩნენ, მეგობრული ურთიერთობა იქონიონ ყველა სხვა ქვეყანასთან და გამოიყენონ თავიანთი რესურსები ეროვნული თავისუფლებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის. მაშინ როცა კოლომბოს თათბირის მონაწილე ყველა სხვა ქვეყანამ უარყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულება, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა წავიდეს პაკისტანი საწინააღმდეგო გზით“.

## ჩინელ სახალხო მოხალისეთა ევაკუაცია კორეიდან

ფხენიანი, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტოს სპეციალური კორესპონდენტი სინიჯუდან იუწყება, ქალაქში მიმდინარეობს გეგმაზომიერი ევაკუაცია ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებისა, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. ორი დღის განმავლობაში — 16 და 17 სექტემბერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლები დატოვა 11.556 ჩინელმა სახალხო მოხალისემ.

## გომინდანელთა პროვოკაციები გრძელდება

პეკინი, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ფუჯოუდან იუწყება, 18 სექტემბერს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოაგდეს და დააზიანეს ჩანკაიშელთა 2 თვითმფრინავი ამოისა და ფუძიანის პროვინციის სანაპიროზე მეკობრული თავდასხმის დროს. 18 სექტემბერს ჩანკაიშელთა ბატარიები კვლავ უშენდნენ ფუძიანის პროვინციის სანაპირო რაიონებს.

**მახინჯაური.** მახინჯაურის სადგურთან ამ ცოტა ხნის წინათ გზის პირას აშენებული ახალი პავილიონის ხედი.

ფოტო ჯ. გინზბურგისა.

## მსოფლიო გუნდური პირველობა ჰავანაში

ამსტერდამი, 20 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მეშვიდე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ეთამაშნენ არგენტინის გუნდს.

მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი შეხვდა გროსმაისტერ ნაიდორფს ძველინდურ დაცვაში, რომელიც არგენტინელმა გროსმაისტერმა აირჩია, ბოტვინიკმა გამოიყენა ახალი გაგრძელება და დებიუტით ერთგვარი უპირატესობა მიიღო დაფის ცენტრში. მე-12 სვლაზე ნაიდორფმა ყაიმი შესთავაზა, მაგრამ ბოტვინიკმა იგი არ მიიღო და მალე გახსნა ხაზი ცენტრში, რითაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრი ეტლი მეშვიდე ჰორიზონტალზე შეიჭრა, რამაც შეაბოჭა შავების ფიგურების მოქმედება. ნაიდორფმა პაიკი დაკარგა და ცოტა ხნის წინაადმდეგობის შემდეგ თავი დამარცხებულად ცნო.

მშვიდი თამაშის შემდეგ მე-19 სვლაზე ყაიმით დამთავრდა ბოლბოჩან-სმისლოვის შეხვედრა.

ორი პარტია გადადებულია. ბრონშტეინმა თეთრებით პარტიაში პანოსთან აირჩია ძველინდური დაცვის ცნობილი ვარიანტი ლაზიერების გაცვლით. საბჭოთა გროსმაისტერმა ეტლების დაბოლოებაში მნიშვნელოვანი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა.

კერესი ერთგვარ სიძნელეებს განიცდიდა ესპანურ პარტიაში პილნიკის წინააღმდეგ, მაგრამ შუა თამაშში კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის წარუმატებელი სვლა და მთლიანად ჩაიგდო ხელში ინიციატივა. შემდეგში კერესმა მოახერხა მეფის ფლანგზე შეექმნა იერიში, რომელიც შენარჩუნებულია გადადებულ პარტიაში.

ამსტერდამი, 20 სექტემბერი. (საკდესი). დაუმთავრებელი პარტიების გათამაშებამ ახალი წარმატება მოუტანა საბჭოთა გუნდს.

კოტოვმა დაამთავრა მეექვსე ტურის გადადებული პარტია არნლაუგსონთან. კარგად გამოიყენა რა თავისი პოზიციური უპირატესობა, კოტოვი ფიგურის შეწირვის შემდეგ ეტლით შეიჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში და აიძულა იგი ორ მსუბუქ ფიგურაში გაეცვალა ლაზიერი. მოგება ჯერ კიდევ ძნელი იყო, რადგან პოზიციას დაბურული ხასიათი ჰქონდა. კოტოვმა კარგად გადაწყვიტა ტექნიკურად ძნელი ამოცანა და გიმარჯვა 106-ე სვლაზე.

ამრიგად, ბატჩი სსრ კავშირი-ისლანდია დამთავრდა ანგარიშით 4:0 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ბრონშტეინმა ადვილად გაანაღდა თავისი უპირატესობა ეტლების დაბოლოებაში პანოსთან.

კერესმა ჩინებულად გაითამაშა გროსმაისტერ პილნიკთან გადადებული პარტია, იერიში მიიტანა და ლამაზი კომბინაციით დაიჭარა მოგება. მატჩი არგენტინასთან დამთავრდა ანგარიშით 3,5 : 0,5 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

მეექვსე ტურის პარტიების დამთავრების შედეგად ისრაელმა ჩეხოსლოვაკიას მოუგო ანგარიშით 2,5 : 1,5. ყაიმით დამთავრეს შეხვედრა უნგრეთმა დასავლეთ გერმანიასთან და ბულგარეთმა იუგოსლავიასთან.

მე-7 ტურში დასავლეთ გერმანიამ მოუგო ბულგარეთს (4 : 0), ისრაელმა ჰოლანდიას (3 : 1) და იუგოსლავიამ ისლანდიას (2,5 : 1,5).

შვიდი ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 22,5 ქულა; იუგოსლავია — 18; არგენტინა — 17; დასავლეთ გერმანია — 16,5; ჩეხოსლოვაკია — 16; ისრაელი — 15,5; უნგრეთი და ჰოლანდია — თხუთმეტ-თხუთმეტი; ბულგარეთი — 10; ინგლისი — 8; შვეიცია — 7,5; ისლანდია — 7.

## „სპარტაკის“ პირველობაზე

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება წყალბურთში მიმდინარეობს თბილისის ფიზკულტურის პარკის წყალჯოგმარდობის აუზში. ამ ჩემპიონობისათვის იბრძვიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, როსტოვის, სოხუმისა და სხვა ქალაქების წყალბურთელთა კოლექტივები.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები გაყოფილია ორ ქვეჯგუფად. გამარჯვებულები გაითამაშებენ ფინალს.

ასპარეზობის პირველ დღეს გაიმართა ჩემპიონატში მონაწილეთა პარადი, აღმართეს ალამი. პირველი შედეგები ასეთია: სოხუმი — სტალინგრადი 6:5, დნეპროპეტროვსკი — გორკი 12:1, კიევი — ხარკოვი 6:2, ლენინგრადი — როსტოვი 9:3, მოსკოვი — ტალინი 10:0.

ასპარეზობის მეორე დღეს, 20 სექტემბერს, მოსკოვის წყალბურთელები შეხვდნენ როსტოვის გუნდს, საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2. ლენინგრადელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს — მოუგეს დნეპროპეტროვსკის გუნდს ანგარიშით 5:4. სტალინგრადელებმა დაამარცხეს ხარკოვის გუნდი 7:2, კიევის წყალბურთელებმა — კრასნოდარის გუნდი 13:0.

**რედაქტორის მოადგილე**
**რ. ძურაციკიძე.**


### საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში 23 სექტემბერს დიდი კონცერტი**

**მონაწილეობენ:**

თბილისის თეატრების და საქართველოს ფილარმონიის მსახიობები,
საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი,
საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი,
საქართველოს სახელმწიფო კაპელა,
საქართველოს მეჩონგურე ქალთა სახელმწიფო ანსამბლი და სხვ.

დაწვრილებით პროგრამებში
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება რუსთაველის სახელობის თეატრის სალარაში.

---

მოქალაქე **აარონ იოსების-ძე ბალდადლიშვილმა**, მცხოვრებმა ჩალაუბნის ქ. № 7, აღძრა საქმე ჯანაშიას ქ. № 9 მცხოვრებ მოქალაქე **ირა გერმანის ასულ ზონინაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.